სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 05

2018 წ. "29" 03

ქ.თბილისი

"შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 იანვრის №25 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 31 იანვრის №25 გადაწყვეტილებისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28[7] მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 იანვრის №25 გადაწყვეტილება შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ.
2. სააპელაციო საბჭოს 2018 წლის 29 მარტის №2 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარცელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი

მდივანი
ნინო დობორჯგინიძე